ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 1

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა/მსჯელობები შეესაბამება ტერმინს - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“?

I. მოსწავლეს აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, რომელთა დაძლევაც მას უჭირს სპეციალური დახმარების გარეშე.

II. მოსწავლეს აქვს სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც გავლენას ახდენს მისი სწავლის პროცესზე.

III. მოსწავლეს აქვს სამედიცინო დიაგნოზი, რომელიც ავტომატურად გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 2

მეხუთე კლასის სსსმ მოსწავლეს ზომიერად გამოხატული ინტელექტუალური დარღვევა აქვს. მას წერა-კითხვა არ შეუძლია. ქართულის მასწავლებელმა ერთ-ერთ გრძელვადიან მიზნად დაუსახა მისთვის ყველაზე საჭირო 10 სიტყვის და/ან ლოგოს ცნობა - დამახსოვრება.

მასწავლებლის მიერ დასახული მიზანი მოსწავლის შესაძლებლობების:

ა) **რელევანტურია,** რადგან მარტივი და ადვილად დასაძლევი მიზნების დასახვა მოსწავლეს აუმაღლებს შინაგან მოტივაციას.

ბ) **რელევანტური არ არის,** რადგან თუ მოსწავლემ წერა-კითხვა არ იცის, ის ვერც ლოგოს ცნობას შეძლებს.

გ) **რელევანტურია,** რადგან სსსმ მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ისწავლოს ფუნქციური კითხვა, რომ შეძლოს მისი პრაქტიკული გამოყენება.

დ) **რელევანტური არ არის,** რადგან, მიუხედავად შესაძლებლობებისა, ამ ასაკის მოსწავლემ საკუთარი გვარისა და სახელის დაწერა მაინც უნდა იცოდეს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 3

თვითშეფასების პროცესი სპეციალური მასწავლებლისგან მოითხოვს რეფლექსიას.

ჩამოთვლილთაგან რომელი უნარი/უნარებია **ყველაზე მნიშვნელოვანი** სპეციალური მასწავლებლის თვითრეფლექსიისათვის?

I. საკუთარი პრაქტიკის ობიექტურად აღქმის, გაანალიზების, კრიტიკული აზროვნებისა და ცვლილებების საჭიროების აღმოჩენის უნარი.

II. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის პერსონალური დოკუმენტაციის წარმოებისა და ანგარიშგების უნარი.

III. სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობისა და ფუნქციების გადანაწილების უნარი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 4

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა შეესაბამება განმავითარებელ შეფასებას?

ა) შეფასებაში აისახება, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს ცოდნის, უნარის გამოვლენა და ნასწავლის ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება.

ბ) მოსწავლის მიღწევა ფასდება დაკვირვებადი და გაზომვადი კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც აღწერს, თუ რა მოსალოდნელი შედეგი, უნარი ან ცოდნა უნდა გამოავლინოს მოსწავლემ.

გ) შეფასება უჩვენებს მოსწავლის მიღწევის დონეს, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელი, კარგი ან ცუდია მოსწავლის სწავლის შედეგი კონკრეტულ საგანში კლასის ან სკოლის ფონზე.

დ) შეფასება იძლევა სწავლის პროცესში მეტი ნიუანსის დანახვის შესაძლებლობას და მისი ფოკუსი მიმართულია იმ ასპექტების იდენტიფიცირებაზე, რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდება მოსწავლეს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 5

მასწავლებელს უნდა შეეძლოს სწავლების პროცესში მიმანიშნებლების ეფექტიანი გამოყენება.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში **არ არის რეკომენდებული** მიმანიშნებლის გამოყენება?

ა) როცა მოსწავლე მიდის არასწორი პასუხისკენ.

ბ) როცა მოსწავლის პასუხი სრულიად მცდარია.

გ) როცა მოსწავლის პასუხის ტემპი არის ნელი.

დ) როცა მოსწავლეს უჭირს პასუხის გაცემა.

დავალება N 6

ჩამოთვლილთაგან აუტიზმის სპექტრის დარღვევის შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება შეესაბამება რეალობას?

ა) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ყველა ინდივიდი დაჯილდოებულია რაიმე განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით.

ბ) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ყველა ინდივიდს აქვს ერთნაირი მახასიათებლები, საჭიროებები და ძლიერი მხარეები.

გ) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ინდივიდმა შესაძლოა, მიაღწიოს წარმატებას, შეიძინოს პროფესია და იცხოვროს დამოუკიდებლად.

დ) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ინდივიდებს აუცილებლად ახასიათებთ კოგნიტური პრობლემები და ინტელექტუალური განვითარების დარღვევა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 7

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფის ყველა წევრს კონკრეტული პასუხისმგებლობა და ფუნქციები აქვს.

ჩამოთვლილთაგან რომელი **არ არის** სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია?

ა) ისგ-ის ჯგუფის წევრებისათვის სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ბ) ისგ-ში გაწერილი მიზნების მიხედვით სსსმ მოსწავლესთან შესაბამისი უნარების განვითარებაზე ინდივიდუალურად მუშაობა.

გ) სსსმ მოსწავლის ისგ-ის შექმნის პროცესში საგნის მასწავლებლებისთვის პრიორიტეტებისა და სასწავლო მიზნების განსაზღვრა.

დ) სსსმ მოსწავლის შეფასება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობაზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 8

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესში შესაძლებელია ინტერვენციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. მათი შერჩევის დროს საჭიროა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორის გათვალისწინება **არ არის აუცილებელი** ინტერვენციის მეთოდის შერჩევის დროს?

ა) ინტერვენციის მეთოდი უნდა იყოს სტანდარტული, ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემაზე ორიენტირებული.

ბ) ინტერვენციის მეთოდი უნდა იყოს მულტისენსორული, ჩართული უნდა იყოს შეგრძნების ყველა მოდალობა.

გ) ინტერვენციის მეთოდი უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, კვლევებით დადასტურებული.

დ) ინტერვენციის მეთოდი უნდა იყოს სტრუქტურირებული, დამყარებული პირდაპირ ინსტრუქციებზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 9

კრიზისული სიტუაციის დეესკალაციის შემდეგ მომხდარის შესახებ სკოლის მიერ მშობლის ინფორმირებას ზოგჯერ მწვავე რეაქცია მოსდევს. მშობელი ადანაშაულებს სკოლას რთული ქცევის პროვოცირებაში, არასწორი მიდგომების გამოყენებაში და სხვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები უნდა აირჩიოს სკოლის პერსონალმა მშობელთან კომუნიკაციისთვის?

I. მოისმინოს მშობლისგან, თუ როგორ ხედავს ის სამომავლოდ მსგავსი პრობლემების გადაჭრის გზებს.

II. მიაწოდოს მშობელს მომხდარის შესახებ ზუსტი ინფორმაცია და თავი შეიკავოს ყოველგვარი შეფასებისგან.

III. გააცნოს სკოლის მიერ დასახული პრევენციის გეგმის მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 10

სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლესთან იყენებს შესასრულებელი აქტივობების ფოტოებით შექმნილ ალბომს. ის აქტივობის წინ შლის ალბომს და მოსწავლეს მიუთითებს შესასრულებელ ქმედებაზე. გაკვეთილების დასრულების შემდეგ ისინი ერთად განიხილავენ შესრულებულ აქტივობებს.

ასეთი ტიპის აქტივობა **ყველაზე ეფექტიანია** იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლეს:

ა) განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები.

ბ) განუვითარდეს თვითრეგულაციის უნარი.

გ) განუვითარდეს სოციალური და ემოციური კომპეტენცია.

დ) აუმაღლდეს თავდაჯერებულობა და შეძლოს თვითმომსახურება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 11

მასწავლებელმა მოსწავლეს სთხოვა, ამოიკითხოს სიტყვა და შეუსაბამოს ის თვალსაჩინო მასალას.

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე მეტად** რომელი უნარის განვითარებას უწყობს ხელს აღნიშნული აქტივობა?

ა) ვიზუალური დისკრიმინაციის

ბ) შემოქმედებითი აზროვნების

გ) ფონოლოგიური ანალიზის

დ) ფუნქციური კითხვის

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 12

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ისგ-ის მიხედვით მოსწავლის ერთ-ერთი მისაღწევი მიზანია: ,,მოსწავლეს შეუძლია ასოების ცნობა და მისადაგება.“

თავდაპირველად რომელი აქტივობის შერჩევაა რეკომენდებული აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

ა) ფურცელზე მოცემულ ცხრილში წერია მარტივი ერთმარცვლიანი სიტყვები, მოსწავლემ გრაფაში დაწერილ სიტყვას უნდა შეუსაბამოს სურათი წარწერით.

ბ) პლასტმასის ერთჯერად კოვზებზე დაწერილი ასოებით ბავშვმა ნიმუშის მიხედვით უნდა ააწყოს სიტყვები და შემდეგ წინადადება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

გ) ფურცლის გადაკეცილ მხარეზე დაწერილ ერთმარცვლიან სამიზნე სიტყვას მოსწავლემ უნდა შეუსაბამოს ჩხირები, რომლებზეც წერია ასოები.



დ) მოსწავლემ მეგობრების ფოტოების გასწვრივ დაწერილ სახელებში უნდა ამოიცნოს გამოტოვებული ასო-ბგერა და ჩასვას.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 13

სპორტის გაკვეთილზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეს უჭირს მითითებების ბოლომდე მოსმენა, რიგის დაცვა და არ ასრულებს ინსტრუქციებს.

მოცემულ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული მიდგომებიდან რომელია **ყველაზე ეფექტიანი**?

ა) მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში დგას სსსმ მოსწავლის გვერდით და ინდივიდუალურად ასრულებინებს სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობას.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ აცნობს გაკვეთილის გეგმას და ყოველი ახალი აქტივობის დაწყების წინ იძლევა მოკლე ინსტრუქციას.

გ) მასწავლებელი სთხოვს სსსმ მოსწავლეს, გუნდური თამაშის დროს ჯერ დააკვირდეს თამაშის წესებს და შემდეგ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.

დ) მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, წესების დარღვევის შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეს მიუთითონ შეცდომებზე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 14

სრულ ინკლუზიაზე ვსაუბრობთ, როდესაც:

ა) სსსმ მოსწავლეს გაკვეთილების ნაწილი უტარდება ინდივიდუალურად რესურს ოთახში, ნაწილი კი - კლასში.

ბ) სსსმ მოსწავლე კლასში ესწრება მისთვის სპეციალურად შედგენილი განრიგით განსაზღვრულ ყველა გაკვეთილს.

გ) სსსმ მოსწავლე არსებული საათობრივი ბადის მიხედვით თანატოლებთან ერთად კლასში ესწრება ყველა გაკვეთილს.

დ) სსსმ მოსწავლე დღის განმავლობაში იმყოფება სასკოლო სივრცეში და ჩართულია სხვადასხვა არასაკლასო აქტივობაში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 15

ყურადღების დეფიციტის სინდრომის მქონე მოსწავლეს ყველა გაკვეთილზე ექმნება ერთი და იგივე პრობლემა - ვერ ასწრებს დავალების დასრულებას, რაც უარყოფითად აისახება მის აკადემიურ მოსწრებაზე.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს **ყველაზე მეტად** აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში?

ა) **კლასში ადგილის შერჩევა** - ფანჯრისგან და კარისგან მოშორებით მასწავლებლის მაგიდასთან ახლოს.

ბ) **პოზიტიური განმტკიცება** - მოსწავლის შექება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დავალებას ბოლომდე დაასრულებს.

გ) **შერჩევითი უგულებელყოფა** - დაუსრულებელი დავალების იგნორირება, ხოლო დასრულებულის მაღალი ქულით შეფასება.

დ) **დავალების დანაწევრება** - დავალების მცირე ნაწილებად დაყოფა და ყოველი ნაწილის დასრულებისას ინსტრუქციის გამეორება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 16

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

აზროვნების კომპონენტების შეფასებისას სპეციალურმა მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის დავალება.

A სვეტში მოცემული დავალებათა ტიპები შეუსაბამეთ B სვეტში მოცემულ აზროვნების კომპონენტებს.

დავალების ტიპი (A)	აზროვნების კომპონენტი (B)
I. დაასრულე წინადადება - სპილო და თაგვი ორივე ცხოველია, მაგრამ სპილო უფრო	

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

II. დააკვირდი სურათს და იპოვე პირველ ფოტოზე მოცემული გამოსახულების მსგავსი	ა) მიმართებების წვდომა
III. დააკავშირე ერთმანეთთან	ბ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წვდომა

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 17

შეუსაბამეთ A სვეტში წარმოდგენილი აქტივობები B სვეტში მოცემულ ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის მახასიათებლებს:

აქტივობა (A)	**მახასიათებელი (B)**
I. ანდაზის გადატანითი მნიშვნელობის წვდომა.	ა) სემანტიკა ბ) ჟესტები და მიმიკა
II. თვალით კონტაქტი და მინიშნება.	
III. წინადადებაში სიტყვათა ანტონიმების ამოცნობა.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 18

სსსმ მოსწავლეებთან ხშირად გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის სხვადასხვა ფორმა.

A სვეტში მოცემული აქტივობა შეუსაბამეთ B სვეტში მოცემულ ადაპტაციის ფორმას.

აქტივობა (A)	**ადაპტაციის ფორმა (B)**
I. დავალებები მიაწოდეთ ეტაპობრივად მოკლე და მკაფიო შინაარსის მქონე ფრაზებით.	ა) მასალის, სასწავლო რესურსების ადაპტაცია ბ) აქტივობებისა და ინსტრუქციების ადაპტაცია
II. გაამარტივეთ ტექსტის ლექსიკა და ცალკე ამობეჭდილ ფურცლებზე გადაანაწილეთ მცირე მოცულობის ინფორმაცია.	
III. ვერბალურ საფეხურებრივ მითითებებს დაურთეთ წერილობითი ან დამატებითი სიმბოლოები.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

გაითვალისწინეთ: ღია დავალების პასუხში დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენებისათვის დაგაკლდებათ ერთი ქულა!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 19

სპეციალურ მასწავლებელს, პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მოეთხოვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და პირველადი მართვის გეგმის შედგენა.

- აღწერეთ მოსწავლის სწავლის სირთულეების პირველადი მართვის გეგმის ერთ-ერთი კომპონენტი.
- დაასაბუთეთ აღწერილი კომპონენტის ეფექტიანობა მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 20

კლასის ექსკურსიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად მასწავლებელი მშობლებს შეხვდა. კლასში სსსმ მოსწავლეა, რომლის მშობელიც ყოველთვის თავს არიდებს შვილის ჩართვას სასკოლო აქტივობებში. ამჯერადაც მშობელმა შვილის ექსკურსიაზე გაშვებისგან თავი შეიკავა.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ, გააცნობიერებინოთ მშობელს შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის აუცილებლობა.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 21

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე მხიარული, მეგობრული და მოსიყვარულია, მაგრამ უჭირს სასკოლო წესების დაცვა. მაგალითად, საკონტროლო წერის დროს სსსმ მოსწავლე არასოდეს ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას, არ წერს დავალებას, ფანჯარაში იხედება ან ხმაურობს.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს შეამციროს, სსსმ მოსწავლის მიერ არასასურველი ქცევის გამოვლენის სიხშირე.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 22

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კლასის წინაშე პასუხის გაცემისას ნერვიულობს, ენაბორძიკობის გამო უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება, ვერ ახერხებს ცოდნის გამოვლენას, რაც მის აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება.

რა სტრატეგია/სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა, რომ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის გამოვლენაში?

I. მასწავლებელი მოსწავლეს აქებს და ეუბნება, რომ მოეწონა მისი პასუხი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის კითხვებს ვერ პასუხობს.

II. მასწავლებელი იყენებს მულტიმოდალურ მიდგომას და პასუხის გაცემას ალტერნატიული გზით სთავაზობს.

III. მასწავლებელი მოსწავლეს უსვამს კითხვებს, რომლებიც მისგან მოკლე ან ჟესტურ პასუხებს მოითხოვს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 23

სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნად დაისახა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ესწავლებინა ემოციის სწორი ფორმით გამოხატვა.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ შეთავაზებული რომელი აქტივობა იქნება **ყველაზე ეფექტიანი** აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

ა) სანიმუშოდ უჩვენოს ვიდეორგოლები და აუხსნას, ხმის როგორი ტემბრით საუბარია მიღებული საზოგადოებაში.

ბ) დაასწავლოს კონკრეტული სიტყვები ან ფრაზები, რომლებსაც სსსმ მოსწავლე გამოიყენებს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში.

გ) უჩვენოს რომელიმე ემოციის გამომხატველი ფოტო და სთხოვოს, ამოიცნოს, რას შეიძლება გრძნობდეს მასზე გამოსახული ადამიანი.

დ) დააკვირდეს მოსწავლის ემოციებს და მათი არაადეკვატურად გამოხატვის შემთხვევაში მიუთითოს ფორმაზე, რომელიც შესაცვლელია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 24

სსსმ მოსწავლეს, რომელსაც ცერებრული დამბლა აქვს, არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება. თამაშების დროს მოსწავლე, მასწავლებლის დავალებით, მსაჯის ფუნქციას ასრულებს, ხოლო როდესაც გაკვეთილზე სხვა აქტივობები ტარდება, იგი უბრალოდ გულშემატკივრობს მეგობრებს.

მასწავლებლის დავალება მოსწავლის შესაძლებლობების:

ა) **რელევანტურია,** რადგან გულშემატკივრობაც აქტივობაა და ხელს უწყობს მოსწავლის კლასში ინტეგრაციას.

ბ) **არარელევანტურია,** რადგან დროის უმეტეს ნაწილს მოსწავლე საგაკვეთილო აქტივობებში ჩართვის გარეშე ატარებს.

გ) **რელევანტურია,** რადგან, მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მას მხოლოდ მსაჯის ფუნქციის შესრულება შეუძლია.

დ) **არარელევანტურია,** რადგან მასწავლებელი სპორტის გაკვეთილზე უნდა იყენებდეს მხოლოდ ისეთ აქტივობებს, რომელთა შესრულება სსსმ მოსწავლესაც შეუძლია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 25

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის (ADHD) სინდრომის მქონე მოსწავლესთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (ისგ) სწავლებისას მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს აკომოდაციის ან მოდიფიკაციის მეთოდი.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფორმა შეესაბამება ისგ- ს აკომოდაციას?

ა) დასასწავლი საკითხების რაოდენობის შემცირება და სხვა მოსწავლეებთან შედარებით ნაკლები შეკითხვების დასმა.

ბ) თანატოლებისგან განსხვავებული, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალით სწავლება.

გ) დიდი მოცულობის დავალებების პატარ-პატარა ნაწილებად დაყოფა და მათი ხშირი ცვლა.

დ) სასწავლო მასალისა და დავალებების შინაარსის, დასმული შეკითხვების გამარტივება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 26

სსსმ მოსწავლე მათემატიკის დავალებების ცალკეულ მოქმედებებს ასრულებს, თუმცა გამბედაობა არ ჰყოფნის და ბოლომდე ვერ მიჰყავს.

რომელი სტრატეგია/სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა, რომ სსსმ მოსწავლემ გადალახოს დასწავლილი უმწეობის მდგომარეობა და დაიწყოს დავალებების შესრულება:

I. იზრუნოს მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებაზე და სირთულის დაძლევის ყველა მცდელობა დადებითად განუმტკიცოს.

II. მინიშნებებით დაეხმაროს მოსწავლეს დავალების დასრულებაში, რომ მან მიიღოს პოზიტიური გამოცდილება.

III. წინასწარ გააფრთხილოს მოსწავლე, რომ დავალება რთულია, მაგრამ აუცილებლად უნდა დაასრულოს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 27

მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, დაფიდან გადაწეროს ტექსტი, წინადადება ან სიტყვა. დავალების შესრულების შემდეგ ის პროცესზე დაკვირვებით აანალიზებს და აფასებს მოსწავლის წერით უნარს ოთხი ძირითადი კომპონენტის მიხედვით, რომელთაგან ერთ-ერთია ორთოგრაფია/მართლწერა.

რას უნდა დააკვირდეს მასწავლებელი, რომ შეძლოს ორთოგრაფია/მართლწერის უნარის შეფასება?

ა) ხომ არ ტოვებს, ანაცვლებს ან ამატებს მოსწავლე სიტყვაში ასოებს.

ბ) შეუძლია თუ არა მოსწავლეს დამოუკიდებლად წერა და გადაწერა.

გ) როგორია ასოების ზომა და მოყვანილობა, ასოების ხაზზე განთავსება.

დ) როგორია სიტყვებს შორის ინტერვალი, საზღვრები ფურცლის ორივე მხარეს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 28

მშობელი ვერ ეხმარება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე შვილს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.

რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება დაეხმარება მშობელს აღნიშნული პრობლემის დაძლევაში?

I. გაუზიარეთ ბავშვს პრობლემებთან გამკლავების საკუთარი გამოცდილება.

II. მიეცით ბავშვს შეუზღუდავი დრო დავალებების შესასრულებლად.

III. მიეცით ბავშვს საკუთარი პრობლემების ვერბალიზების საშუალება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 29

მასწავლებელმა მოკლევადიან მიზნად დაისახა დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეს ასწავლოს მარჯვენა და მარცხენა მხარეების გარჩევა ხელებზე დაკრული სტიკერების გამოყენებით, რისთვისაც მან შეიმუშავა მიზნის შესაბამისი ოთხი აქტივობა.

ჩამოთვლილთაგან თავდაპირველად რომელი აქტივობა უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მოსწავლესთან მუშაობის დროს?

ა) მოსწავლე განსაზღვრავს და ასახელებს მისგან მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულ საგნებს ხელზე დაკრული სტიკერების დახმარების გარეშე.

ბ) მოსწავლე მარჯვენა და მარცხენა ხელზე დაკრულ სტიკერებს („მარჯვენა“ და „მარცხენა“) წარწერის მიხედვით აწყვილებს შესაბამის წარწერიან ბარათებთან.

გ) მოსწავლე სამი წარწერიანი ბარათიდან („მარჯვენა“, „მარცხენა“ და რაიმე სხვა სიტყვა) ხელზე დაკრული სტიკერის მიხედვით ირჩევს იმას, რომელსაც მასწავლებელი დაუსახელებს.

დ) მოსწავლე ასახელებს, რომელ ხელში რა საგანი უჭირავს ორივე ხელზე დაკრული შესაბამისი წარწერის მქონე სტიკერების გამოყენებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 30

სკოლაში ზოგჯერ იქმნება კრიზისული სიტუაციები - რომელიმე მოსწავლის მიერ ჩადენილი რთული ქცევა იმდენად მწვავდება, რომ სიტუაცია ძნელად სამართავი ხდება სკოლის პერსონალისთვის: პროცესში ერთვება ბევრი მოსწავლე, იშლება სასწავლო პროცესი და სხვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენება იქნება მნიშვნელოვანი კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით?

I. მოსწავლის მიერ გამოვლენილი რთული ქცევის იგნორირების.

II. მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენის პრევენციის.

III. მოსწავლის რთული ქცევის მოდიფიკაციაზე მიმართული ინტერვენციის.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 31

მოსწავლე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონეა. გაკვეთილზე ის მუდმივად ირწევა სკამზე. მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეს, რომ სხვა ბავშვების მსგავსად დაჯდეს მერხთან გამართული.

მასწავლებლის ქმედება:

ა) **მიზანშეწონილია,** რადგან ასეთ დროს მოსწავლე მეტად მობილიზებული ხდება და, შესაბამისად, იზრდება საგაკვეთილო პროცესში მისი ჩართულობა.

ბ) **მიზანშეწონილი არ არის,** რადგან ასეთ დროს მოსწავლის ქცევის შეზღუდვა საკმარისი არ არის, საჭიროა სასურველი ქცევის ნეგატიური განმტკიცება.

გ) **მიზანშეწონილია,** რადგან მერხთან გაუნძრევლად ჯდომისას მოსწავლის ყურადღება მიმართულია ერთ სტიმულზე, რაც უადვილებს მასალის ხარისხიან აღქმას.

დ) **მიზანშეწონილი არ არის,** რადგან მსგავსი ქმედებით მოსწავლე უმკლავდება სტრესს, მასწავლებელმა უნდა აცადოს, რომ მოსწავლემ თვითონ შეწყვიტოს ქცევა, მისცეს დრო დამშვიდებისთვის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 32

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში **არ არის** აუცილებელი ასახული იყოს:

ა) გაკვეთილის თითოეულ ფაზაში სსსმ მოსწავლის ჩართვის სხვადასხვა სტრატეგიის, ფორმებისა და შეფასების სახეები.

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ისგ-ით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას შერჩეულ საგანში.

გ) მოსწავლისათვის საჭირო მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა, ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი და რესურსი.

დ) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული შერჩეულ საგანში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 33

სწავლების რომელი ფორმაა **ყველაზე ეფექტიანი** კინესთეტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლესთან?

ა) მოსმენა, საუბარი, დისკუსიები, ვერბალური გამეორებები, ხმის ჩაწერა, მუსიკა.

ბ) მოძრაობები, ტაქტილური რეპრეზენტაციები, კეთებით სწავლა და ექსპერიმენტირება.

გ) სურათები, დიაგრამები, ცხრილები, გრაფიკები, რუკები, ილუსტრაციები და ბარათები.

დ) მასალის აუდიო/ვიზუალური გზით მიწოდება და მულტიმედიური საშუალებების გამოყენება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 34

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის მიერ დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ მასწავლებლის განმავითარებელი უკუკავშირის რომელი ფორმა **არ არის მართებული**?

ა) უკუკავშირი მიაწოდოს სხვადასხვა ფორმით: წერილობით, სიტყვიერად ან ვიზუალური მასალის დახმარებით.

ბ) დავალებაში კონკრეტულად მიუთითოს იმ დეტალებსა და ასპექტებზე, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია.

გ) მისცეს მხოლოდ პოზიტიური უკუკავშირი, საუკეთესო შეფასება და დეტალურად აღწეროს მოსწავლის ძლიერი მხარეები.

დ) რჩევებთან და რეკომენდაციებთან ერთად მოსწავლე უზრუნველყოს განვითარებისთვის ხელშემწყობი რესურსით და დავალებებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 35

სსსმ მოსწავლე ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ხელს უშლის მოსწავლეებს და აფერხებს სასწავლო პროცესს. სპეციალური მასწავლებელი გაესაუბრა სსსმ მოსწავლის მშობელს და სკოლის პედაგოგებს. კვირის ბოლოს მან სკოლის მულტიდისციპლინურ ჯგუფს გადასცა ინფორმაცია სსსმ მოსწავლის ქცევის ცვლილების შესახებ.

ჩამოთვლილთაგან ქცევის მართვის რომელ საფეხურს მიეკუთვნება სპეციალური მასწავლებლის აქტივობა?

ა) არასასურველი ქცევის შეფასებისა და იდენტიფიკაციის.

ბ) არასურველი ქცევის ჩამანაცვლებელი ქცევის განსაზღვრის.

გ) არასასურველ ქცევაზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორების შემცირების.

დ) არასასურველი ქცევის შემცირებისთვის ადეკვატური სტრატეგიის შერჩევის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 36

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მასწავლებელმა წერის წინმსწრები უნარების განვითარების მიზნით მუყაოს ქაღალდში ამოჭრილ წრიულ ლაბირინთში ბავშვს ბურთის გატარება დაავალა.

მასწავლებლის აღნიშნული აქტივობა მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან მსგავსი აქტივობა ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკისა და ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია წერის დაუფლებისათვის.

ბ) **ადეკვატური არ არის,** რადგან წერის წინმსწრები უნარების განვითარებისთვის აუცილებელია კალმით და არა ხელით შესასრულებული აქტივობების გამოყენება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

გ) **ადეკვატურია,** რადგან ლაბირინთში თითის მიყოლებით მოსწავლეს უვითარდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფიგურების შემოხაზვის უნარი.

დ) **ადეკვატური არ არის,** რადგან წერის წინმსწრები უნარების განვითარების მიზნით აუცილებელია უშუალოდ ასო-ბგერების წერტილოვან მონახაზებზე მუშაობა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 37

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ამ მიზნით 2004 წელს საქართველოს განათლების სისტემაში დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა.

ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტეგრაცია საზოგადოებაში.

- აღწერეთ ერთი აქტივობა, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული მიზნის მიღწევაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 38

პრობლემური ქცევის პრევენციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასში ქცევის წესების შემუშავებას და მათ დაცვას. წესების დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, მოსწავლემ წინასწარ იცოდეს დასჯის რა მეთოდს გამოიყენებს მასწავლებელი საკლასო წესების დარღვევის შემთხვევაში.

- აღწერეთ დასჯის დასაშვები ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა სსსმ მოსწავლესთან ქცევის წესების დარღვევის დროს.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 39

სსსმ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ სარკისებური ასახვის მქონე ასოების: შ-წ, ხ-ძ, მ-ნ ერთმანეთისგან გარჩევა, ეს კი მათ დიდ სირთულეებს უქმნის კითხვისა და წერის ათვისებაში.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს აღნიშნული სირთულის დაძლევაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

დავალება N 40

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შეირჩა და განისაზღვრა წლის ბოლოს მისაღწევი სასწავლო შედეგები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. **გრძელვადიანი მიზანი** (ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში):

მოსწავლე სათანადოდ აღიქვამს მარტივი ტექსტის შინაარსს.

	მოკლევადიანი მიზანი	**მიზნის მიღწევის თარიღი**
1	მოსწავლე კითხულობს ხმამაღლა საკუთარ სახელს და გვარს.	
2	მოსწავლე ცნობს ანბანის სამ ასო-ბგერას: ა, ი და თ.	

წყარო : ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, ინკლუზიური განათლება, ზოგადი ნაწილი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a

– აღწერეთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახულ მოკლევადიანი მიზნებიდან რომელიმე ერთის შესაბამისი აქტივობა.

– დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 12a 13 14 15 16 16a 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 36a 37 38 39 40 40a